საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/223
2024 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის № 1–1/1527 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 24.07.2012 წ., 010240070.22.024.016191) დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულებაში” შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. სააგენტოს უფროსის და სააგენტოს უფროსის მოადგილის არყოფნის პერიოდში, სააგენტოს უფროსის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, მინისტრთან შეთანხმებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი**